ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 1/39

ქ. თბილისი 27 მარტი 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, შემდგომში შემსყიდველი, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პატარიძის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 06 დეკემბრის #225 ბრძანების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომში_ხელშეკრულება) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტ(ებ)ით;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ _ შემსყიდველი) - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

1.6 ,,ვებ გვერდი“ _ შემდგომში ვებ გვერდი (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურებას.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ **მონაცემთა მომსახურების შესყიდვა (CPV 72300000).**

2.2. **შესყიდვის ობიექტია შემსყიდველის მიერ ,,მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურებით სარგებლობის უფლების შესყიდვა.**

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მაცნეს ვებგვერდზე **(www.matsne.gov.ge)** განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია **2 (ორი) მომხმარებელზე.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 576.00 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ერთი მომხმარებლისთვის **შეადგენს 288.00 ლარს.**

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

4.1. ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ადგილია მაცნეს ვებგვერდი **(www.matsne.gov.ge).**

4.2. **მომსახურების გაწევის ვადები:** მომსახურების გაწევა დაიწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და იწარმოებს შემყიდველის თანამშრომელთა (2 მომხმარებელი) სახელ(ებ)ის (user name) გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, ინტენსიურად, რეგულარულად და ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

5. მხარეთა ვალდებულებანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** გადასცეს შემსყიდველს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის სახელი (user name), პაროლი, უზრუნველყოს ელექტრონული მომსახურების სისტემაში **(www.matsne.gov.ge)** ჩართვა და შემსყიდველის თანამშრომელთა (2 მომხმარებელი) ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება დანართის შესაბამისად.

5.1.2 უზრუნველყოს, მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება მომხმარებელთა სახელ(ებ)ის (user name) გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, ინტენსიურად, რეგულარულად და ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად;

5.1.3. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

5.1.4. აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name), პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა;

5.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს „მიმწოდებლთან" ანგარიშწორება;

5.2.3. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

5.2.4. თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი და უზრუნველყოს მისი დაცვა;

5.2.5 წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართის შესაბამისად.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს" შესყიდვების მენეჯერი.**

6.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხელშეკრულების დანართში მითითებული პირ(ებ)ის მომხმარებლის სახელ(ებ)ისა (user name) და პაროლ(ებ)ის სისტემაში გააქტიურებით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადაგადაცილებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა
ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეთა ურთერთშეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე **ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქარველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)
14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სხვა პირობები
ხელშეკრულება შედგენილია **ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ორი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.**

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"
მის.: ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ. N3-5, ტელ:2473696
საბანკო რეკვიზიტები:
ეროვნული ბანკი, ბ.კ. 220101222
ა/ა № 200122900
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 990 082

დირექტორის მოადგილე,

მაგდა ბოლოთაშვილი

„მიმწოდებელი"

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"
მისამართი: ქ. თბილისი,
ი. აბაშიძის ქ.№68; ტელეფონი: 2 94 16 45,
საბანკო რეკვიზიტები:
სს პრივატბანკი
ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ა GE26TP0034020020000306
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,

გიორგი პატარიძე

დანართი

#	saxeli, gvari	momxmareblis saxeli (user name)	e-mail	standartuli paroli
1	Giorgi Pertaia		gpertaia@investingeorgia.org	
2	Magda Bolotashvili		mbolotshvili@investingeorgia.org	

შენიშვნა:

- სტანდარტული პაროლი ექვემდებარება სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ;
- შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს;
- დანართში მითითებულ პირთა ინფორმაცია, რომლებიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ავტომატურად დამუშავებულ იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მონაცემების დამუშავების თაობაზე მომხმარებლის (სუბიექტი) ინფორმირებულობა და მისი თანხმობის ტვირთი ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.
- დანართი ივსება ლათინური ასოებით.

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 990 082
დირექტორის მოადგილე,

მაგდა ბოლოთაშვილი

„მიმწოდებელი“

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,

გიორგი პატარიძე